ნელი ამაშუკელი – ჩვენი იუბილარი

საიუბილეო თარიღი შეუსრულდა ცნობილ ქართველ გერმანისტს, ჩინებულ მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს ნელი ამაშუკელს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნულმა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ნელი!

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, ქართული კულტურისა და ხელოვნების ჩინებულ დესპანს გერმანულენოვან სამყაროში და გილოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი მრავალმხრივი და ნაყოფიერი ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა. 1957 წელს გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა თქვენი პირველი წერილი არტურ ლაისტზე და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ფართო საზოგადოებრიობა თქვენ გიცნობთ როგორც გერმანული ენის საუცხოო მცოდნეს, რაც საშუალებას გაძლევთ იყოთ ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ქართული კულტურის დაუცხრომელი პროპაგანდისტი მთელ გერმანულენოვან სამყაროში. ამ მხრივ, მართლაც რომ ძნელია, გადაჭარბებით შევაფასოთ თქვენი მოღვაწეობის მნიშვნელობა. სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო გერმანელი და ავსტრიელი მკითხველი იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამებას", "ვისრამიანს", ილია ჭავჭავაძის "სარჩობელაზედ", ვაჟა-ფშაველას "გველის მჭამელს", სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისას", დავით კლდიაშვილის "სამანიშვილის დედინაცვალს", აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძის, ლია სტურუას ლექსებს.

არანაკლები ღვაწლი მიგიძღვით ქართული მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდის საქმეშიც. გერმანულად თარგმნეთ ქართველ კომპოზიტორთა ოპერების ლიბრეტოებო (ეკვირიტმული თარგმანები) თუ სხვა მუსიკალურ ქმნილებათა ლიტერატურული ტექსტები (ზ.ფალიაშვილის "დაისი", "აბესალომ და ეთერი", ოთარ თაქთაქიშვილის "მინდია"...).

თქვენს მიერ შესრულებული გერმანული პწკარედების მიხედვით ითარგმნა ქართული კლასიკური თუ თანამედროვე პოეზიის არაერთი შედევრი თვით "ვეფხისტყაოსნის" ჩათვლით.

ამავე დროს არაერთი საგულისხმო თარგმანით გაამდიდრეთ მშობლიური ქართული ლიტერატურა. "ანა ფრანკის დღიური", კარელ ჩაპეკის ნოველები და პიესა "დედა", ლეონჰარდ ფრანკის "ქრისტეს მოწაფეები", ჰერმან კესტენისა და არნოლდ ცვაიგის მოთხრობები, ჰაინრიხ ბიოლის "კლოუნის თვალთახედვა", ფრანც კაფკას "პროცესი", - აი, იმ მწერალთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომელთაც თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი. ორიგინალის მხატვრულ-ესთეტიკური სპეციფიკის ღრმად წვდომა, ქართულ ენაზე მისი ზუსტშესატყვისის შექმნის უნარი, ნატიფი გემოვნება, სადა და ბუნებრივი სტილი - აი, რა განაპირობებს თქვენი თარგმანების ლიტერატურულ ღირსებას... თქვენს კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოცარტის ოპერების ("ჯადოსნური ფლეიტა", "თეატრის დირექტორი") ლიბრეტოების ეკვირიტმული თარგმანები.

აღსანიშნავია თქვენი მნიშვნელოვანი წერილები კარელ ჩაპეკის, ლეონჰარდ ფრანკის, არტურ ლაისტის, ჰერმან ვედეკინდის და სხვათა შემოქმედების შესახებ.

ათეული წლებია რაც თსუ პროფესორი გერმანული ენის საიდუმლოებას აზიარებთ სტუდენტებს. ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევით.სხვადასხვა დროს არჩეული იყავით სსრკ გდრ-ის მეგობრობის საზოგადოების და სსრკ-გფრ-ის საზოგადოების საქართველოს განყოფილებათა გამგეობების, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის და ვაიმარის განყოფილების პრეზიდიუმის წევრად. თქვენს მრავალრიცხოვან ჯილდოთა შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის მედალი.

ქალბატონო ნელი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფასსა და საყვარელ კოლეგას, ღვაწლმოსილსა და ამაგდარ შემოქმედს, ღმერთმა გვიცოცხლოს თქვენი თავი, რომელიც კიდევ ძალიან დიდხანს დასჭირდება ჩვენს სამშობლოს.

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირი

მხატვრული თარგმანის საკითხისათვის

ორი ქვეყნის, ორი ხალხის, კერძოდ, საქართველოსა და გერმანიის, ქართველებისა და გერმანელების ურთიერთობას ბევრი რამ აპირობებს. მე მხოლოდ ერთ ფაქტორს შევეხები - ლიტერატურულ ურთიერთობას, ადამიანთა შორის უშუალო კონტაქტს. რომ არაფერი შეედრება, ეს ფაქტია, თუმცა ლიტერატურის ფაქტორის მნიშვნელობასაც ვერ გამოვრიცხავთ, მხატვრული ლიტერატურის როლი ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაში საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ქართველი ქართული წიგნით, ან გერმანელი გერმანული წიგნით ვერ შემოიფარგლება. სამყარო უკიდეგანოა, სხვა ხალხების, პირადად თუ არა, რაიმე საშუალებებით გაცნობის სურვილი ძალზე დიდია და აქ უდიდეს როლს თამაშობს თარგმნილი ლიტერატურა. რა აღარ ითარგმნება, მეცნიერების რომელი დარგი არ ხდება თარგმანის მეოხებით მრავალი ერისთვის ხელმისაწვდომი. ამჟამად მხატვრული ლიტერატურა მაინტერესებს, რომელიც ცხოვრების, განცდილისა და ნააზრევის ანარეკლია.

ძველთაგანვე გავრცელებული იყო წიგნების გაცვლა-გამოცვლა. 1827 წელს გოეთე ირწმუნებოდა და ამის სრული საფუძველიც ჰქონდა, რომ პოეზია "მთელი კაცობრიობის კუთვნილებად" იქცა. მრავალი ეროვნული ლიტერატურიდან მსოფლიო ლიტერატურა შეიქმნა. სათანადო ენების ცოდნაზე დაფუძნებული ლიტერატურული კონტაქტები განსაკუთრებით ეფექტურია. საქართველოში ნამყოფი გერმანელები იოჰან გიულდენშტედტი (XVIII ს). ფრიდრიჰ ბოდენშტედტი (XIX ს.), არტურ ლაისტი (XIX-XX ს.) აცნობდნენ გერმანიას ჩვენს ქვეყანასა და ხალხს. ლაისტი სულაც თბილისში დასახლდა და მოღვაწეობდა, აქვეა დაკრძალული. ლაისტმა თარგმნა XII საუკუნის უკვდავი ეპოსი, რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი". მაგალითი უახლესი ისტორიიდან. 1972 წელს ზაარბრიუქენიდან საქართველოს ეწვია დასავლეთ გერმანიის მხარის, ზაარლანდის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორი, რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი. ამ ვიზიტს მოჰყვა ქართული ოპერების დადგმა ზაარბრიუქენში და გერმანული ოპერებისა თბილისში. ზაარბრიუქენში 1978 წელს გამოიცა "ახალი პოეზია საქართველოდან". ლექსები თარგმნეს გერმანელმა პოეტებმა ქართველი მთარგმნელების მიერ შესრულებულ პწკარედებზე დაყრდნობით. სხვათა შორის, სარჩევში სავსებით გამართლებულად წერია ლექსის ორი მთარგმნელი, მაგ.ნ.ამაშუკელი, რ.კირში, რაც აღმოსავლეთ გერმანიაში ბერლინის გამომცემლობას არ გაუკეთებია ქართული პოეზიის მოზრდილი ანთოლოგიის გამოცემისას 1970 წელს, თუმცა ქართულის არმცოდნე პოეტები პწკარედს დასჯერდნენ. საქართველოში გამოვიდა მარტინ ბუხჰორნის ლექსების კრებული, გერმანიაში კი მორის ფოცხიშვილის ლექსები "სარკე სარკეში". ვედეკინდის საქართველოში გამოჩენას სამი ქვეყნის ქალაქების დაძმობილება მოჰყვა: თბილისი-ზაარბრიუქენი-ნანტი, ამაზე მჭიდრო ურთიერთობა რაღა იქნება. საქართველოში სტაჟირებაზე მყოფმა გერმანელმა ვოლფგანგ ოფერმანსმა თარგმნა დავით აღმაშენებლის ფსალმუნი "გალობანი სინანულისა". თუ არ შევწყვიტე მოყოლა, დრო არ მეყოფა მოვლენათა მსვლელობის გადმოსაცემად, მე მხოლოდ იმას შევეხე, რისი უშუალო მონაწილე ვიყავი. რიგ ქვეყნებში ყალიბდებოდა ლიტერატურული სალონები; საქართველოში ოცდაათი წელია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის განყოფილება, რომელსაც ბოლო წლებში ქუთაისისა და ფოთის განყოფილებები შეემატა.

რამდენადაც უცხო ენების ცოდნა ყოველთვის მცირერიცხოვან სოციალურ ჯგუფთა პრივილეგიას წარმოადგენდა, უცხოური ლიტერატურები მკითხველთა ფართო წრეებისათვის მხოლოდ თარგმანების საშუალებით ხდებოდა ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარეობს თარგმანის მნიშვნელობა. მთარგმნელს ხშირად ეუფლება ცდუნება, თავისი შემოქმედებითი წვლილი შეიტანოს სათარგმნ ნაწარმოებში, მოახდინოს მისი ადაპტაცია, თარგმანები უდავოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში. დროთა ვითარებაში თარგმანების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება, ეს პროცესი ახლაც გრძელდება, თუმცა ჩვენს სოციალურ პირობებში წიგნის დაბეჭდვა ძალზე ძვირს თარგმანები დიდად უწყობენ ხელს ეროვნულ ლიტერატურათა შორის უშუალო კონტაქტების დამყარებას. თარგმანთა რიცხვი ჩვენს დროში ძალიან იზრდება, რასაც ცხადყოფს თარგმანების საერთაშორისო ბიულეტენი "Undex translatoriym. სამწუხაროდ, არ ვიცი, რამდენი უცხოელი ავტორის წიგნი ითარგმნა საქართველოში და არც მსმენია, რომ თარგმანების აღმნუსხველი ბიულეტენი დაბეჭდილიყო ჩვენთან. დავსძენ, რომ დიდი ხანია შეიქმნა მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც 1955 წლიდან სცემს ორენოვან ჟურნალს "Babel" (ბაბილონი) ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალი თარგმანებს ეძღვნება. ჟურნალის ყურადღების ცენტრშია არა მარტო თარგმანის ტექნიკური და სამეცნიერო პრობლემები, არამედ სხვადასხვა ქვეყნებში მთარგმნელთა ცხოვრების პირობები, მათი შრომის პროფესიონალური საკითხები.

საქართველოში ადრე უმეტესად გერმანული ლიტერატურა ითარგმნებოდა. აქ ბევრი გერმანული ოჯახი ცხოვრობდა, იყო გერმანული სკოლა, ლიცეუმი, ეკლესია, ჩვენი მამა-პაპანი უმაღლესში სასწავლებლად გერმანიაში მიდიოდნენ.

საერთოდ უაღრესად საჭიროა, რომ თარგმანი მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცემდეს ორიგინალის ტექსტს. ჩემი მთარგმნელობითი პრაქტიკიდან დავრწმუნდი, რომ რუსები და ჩვენ ვცოდავთ ხოლმე ამ მხრივ. რედაქციაში გერმანული არ იცოდნენ, გერმანულის მცოდნე რედაქტორისთვის ფული არ ემეტებოდათ ან არ ჰქონდათ, ამიტომ გერმანულიდან ნათარგმნ ტექსტს რუსულ თარგმანს ადარებდნენ. რუსულ თარგმანებს აკლიათ ხოლმე ესა თუ ის გაუგებარი ფრაზა აბზაცი თუ პასაჟი, ზოგი ადგილი სხვაგვარადაა თარგმნილი პოლიტიკური მოსაზრების გამო და თუ იმავე ნაწარმოებს თარგმნი ქართულად, ჩვენი გამომცემლობის რედაქტორი იმავეს მოითხოვს. სულ უბრალო მაგალითი: "ანე ფრანკის დღიურის" თარგმანში "ანე" რუსულ ყაიდაზე "ანა"-თი შემიცვალეს, თუმცა გერმანელებს ორივე სახელი აქვთ "ანეც" და "ანაც" და ნუთუ ანას მამამ რუსებზე უკეთ არ იცოდა, რა ერქვა მის შვილს; კონიუნქტურის კარნახით სტალინგრადი ვოლგოგრადით შეცვალეს, ხრუშჩოვის განრისხებას მოერიდნენ. 1964 წელი იყო. სტალინი უხსენებლივით სულ ამომიშალეს, თუმცა ომის დროს გენერალისიმუსი იყო. ყველა გამარჯვების მამამთავარი და საერთოდაც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი. სტალინს ბოლო დროს ისევ ახსენებენ, ახსენებენ კი არა, ახალი კომუნისტური პარტია მის მზეს ფიცულობს. ბიოლის რომანში "კლოუნის თვალთახედვა" რუსმა მთარგმნელმა (ან მისმა რედაქტორმა) ამოაგდო რამდენიმე გვერდი, სადაც ერფურტელ კომუნისტებს აკრიტიკებდა. საბედნიეროდ მე შევაპარე ცენზურას და ნაწარმოები ქართულად სრულად დაიბეჭდა. საერთოდ რას მიქვია ცენზურა და რომელ ცენზორს ან გამომცემლობას აქვს უფლება, მწერალს რამე შეუსწოროს, რაგინდ "პატრიოტული" მორალური ან კონიუნქტურული მოსაზრება ამოძრავებდეს. ამით იმის თქმა მინდა, ყველა ქვეყანა სხვადასხვა ეპოქაში ამა თუ იმ პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებით თვითნებურად რომ ამახინჯებდეს ორიგინალს, რა შეგვრჩებოდა ხელში მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან. ტექსტს პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ, ხელშეუხებელი დავტოვოთ, ეს არის ელემენტარული პირობა ნაწარმოების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისა. ესაა და ეს.

ენათა ონტოლოგიურ ასპექტში განსხვავების გამო ზოგ მწერალს თუ მეცნიერს მიაჩნია, რომ არსებობენ ამა თუ იმ ენიდან თარგმნისათვის მეტ-ნაკლებად შესაფერისი ან შეუფერებელი ენები. ამგვარი მტკიცება მთლად მართებული არ არის, ენათა სიახლოვე, ცხადია, უადვილებს მთარგმნელს შრომას, ხოლო სიშორე - აძნელებს. იგულისხმება ენათა მონათესავე და არამონათესავე ლინგვისტური ოჯახები. და მაინც სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ნებისმიერ ენას გააჩნია აუცილებელი შესაძლებლობანი ლიტერატურული ნაწარმოებების არსის გადმოსაცემად, რამეთუ ყოველი ენა ასახავს ადამიანის სულიერი სამყაროს ერთიან სტრუქტურას.

დამახინჯება თარგმნისას მეტწილად აიხსნება სათანადო ენების, ან ერთი მათგანის არა ღრმა ცოდნით, ხან ენების გრამატიკულ თავისებურებებში ვერ ერკვევა მთარგმნელი, ხანაც მათ შინაგან არსში, ბუნებაში; ასე მაგალითად, გოეთე რომანტიკოს პოეტთა თარგმანებში უაღრესად ემოციონალურია, ხოლო ზოგიერთ მარქსისტს ის ლამის რევოლუციონერად გამოჰყავს. თარგმანის სიზუსტე ნაწარმოების ტიპზეცაა დამოკიდებული. კლასიცისტური ქმნილებები უფრო ადვილად ითარგმნება, მეორე ენაზე, რადგან მათში მთავარია იდეური შინაარსი. რომანტიკოსების და სიმბოლისტების თარგმნა გაცილებით უფრო ძნელია და ბევრი რამ უნებურად იკარგება.

და მაინც უამრავ სიძნელეთა და ყოველგვარ დამახინჯებათა მიუხედავად, ჩვენთან თარგმნის ხელოვნებამ თანდათან, და განსაკუთრებით ბოლო დროს, დიდ ოსტატობას მიაღწია და რაც უფრო უახლოვდება მთარგმნელი ორიგინალს, რაც უფრო ნაკლებად იგრძნობა თარგმანში მისი ინდივიდუალურობა, მით უფრო მაღალია ოსტატობის დონე. დავასახელებ რამდენიმე თარგმანს, რომელიც ახლოსაა ორიგინალთან. აუგუსტ შლეგელისა და ლუდვიგ ტიკის მიერ გერმანულად თარგმნილი შექსპირის 17 დრამა შექსპირის საუკეთესო თარგმანებად ითვლება მსოფლიოში. ჩვენთან შექსპირის ტრაგედიები ბრწყინვალედ თარგმნეს ივანე მაჩაბელმა, ვახტანგ ჭელიძემ, სონეტები კი გივი გაჩეჩილაძემ, რეზო თაბუკაშვილმა. რაგინდ ადეკვატური და გამომსახველი იყოს თარგმანი, ორიგინალთან შედარებისას მაინც აღმოჩნდება, რომ ხან შეცდომაა გაპარული, ხანაც გადახრას აქვს ადგილი. რას იზამ, გაცვეთილი ნათქვამია, მაგრამ სიმართლეს შეიცავს, არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს. ყოველი თარგმანი უცხოური ლიტერატურების პოპულარიზაციას უწყობს ხელს და მთავარი ესაა.

თარგმანის მიზანია შეძლებისდაგვარად ახლოს გააცნოს მკითხველს, რომელმაც ორიგინალის ენა არ იცის, ესა თუ ის ნაწარმოები; ეს ნიშნავს, რომ სწორად და სრულად უნდა გამოიხატოს ერთი ენის საშუალებით ის, რაც უკვე გამოხატულია სხვა ენობრივი საშუალებებით. თარგმანში ორიგინალის აზრი ისე უნდა იყოს გამოხატული, რომ მკითხველისათვის სავსებით გასაგები იყოს; ამდენად, თარგმანი უნდა შეესაბამებოდეს იმ ენის ნორმებს, რომელზედაც შესრულებულია. მთარგმნელი ჯერ უნდა ჩაწვდეს სათარგმნს და შემდეგ შეარჩიოს თავის ენაზე სიტყვები, სიტყვათშეერთება, გრამატიკული ფორმები, შეგნებულად იმუშაოს და არა მექანიკურად, გააზრებულად უნდა მოეპყრას ორიგინალის ფორმასა და შინაარსს. ამასთან მთარგმნელს ლიტერატურული ოსტატობა მოეთხოვება, იგი შემოქმედია, ხელოვანი. თარგმანის თეორია კი მეცნიერული დისციპლინაა, რომლის მიზანია დასაბუთებული პრინციპების შემუშავება, რათა გამოირიცხოს მთარგმნელის სუბიექტური თვითნებობა.

მხატვრულ თარგმანს შეიძლება მივუდგეთ ისტორიულ-კულტურული, ლიტერატურისმცოდნეობის, ენათმეცნიერული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გასარკვევია ორი ენის და მათი სტილური საშუალებების შეფარდების ხასიათი, ფსიქოლოგია კი განიხილავს ენის მიმართებას აზროვნებასთან, ენობრივ ხატებთან. თუ მთარგმნელი კარგად ერკვევა ორი ენის განსხვავებულ სტრუქტურაში, ის ნამდვილად არ დაუშვებს აზრობრივ შეცდომებს, არ დაატანს ძალას თავის ენას.

თარგმნის თეორია არ წარმოადგენს წესების კრებულს. მან უნდა გაანალიზოს მთარგმნელობითი გამოცდილების ფაქტები ლინგვისტურ ასპექტში, დაადგინოს ენებს შორის შესაბამისობა და განსხვავებულობა. თარგმნისას გადამწყვეტ როლს თამაშობს კონტექსტი. მაგალითად, ქართული "კი ბატონო" სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება გამოხატავდეს დასტურს, სინანულს, ირონიას, გაბრაზებას და მეორე ენაზე გადატანისას სათანადო ლექსიკის შერჩევას საჭიროებს.

გადავავლოთ თვალი მხატვრული თარგმანის ისტორიას საქართველოში. საქართველოს ცხოვრება ისტორიულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელ ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე, დადებითი და უარყოფითი შედეგებით. საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ქართველები უცხოელ დამპყრობლებს. დიდი გამძლეობა იყო საჭირო, რომ ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის ასეთ პატარა ერს გადაერჩინა თავისი ენა. მშვიდ პერიოდებში თუ ძნელბედობის ჟამს ქართული ლიტერატურა განიცდიდა სხვა ერის ლიტერატურის გავლენას (მაგ. ირანული პოეზიისას). ქართველები მუდამ ინტერნაციონალიზმით გამოირჩეოდნენ, რაც გარკვეულად ამდიდრებდა მათ კულტურას. შუა საუკუნეებში ქართველი სასულიერო თუ საერო მოღვაწეები ბევრს თარგმნიდნენ ახლო აღმოსავლეთის ენებიდან. ძველადაც ქართველები არამარტო თარგმნიდნენ უცხო ერთა ნაწარმოებებს, არამედ მათ ქმნილებებსაც თარგმნიდნენ. ქართველებს ბიბლიური წიგნების პირველ თარგმანებში შეუტანიათ წარმართული ფორმები, რაც თარგმანებს ქართულ კოლორიტს ანიჭებდა. მოგვიანებით მთარგმნელებს მოუხდათ ბერძნულიდან შესრულებული თარგმანების გასწორება, რათა უაღრესად თავისუფალი თარგმანები დედნებისათვის დაეახლოვებინათ. ქრისტიანული საეკლესიო წესების კრებულში, ტიპიკონში ქართველებმა იმდენი ეროვნული ელემენტი შეიტანეს, რომ მას "ქართული კანონი" ეწოდა. ფორმის სფეროშიც ანალოგიური მდგომარეობაა, კერძოდ ჰიმნოგრაფიაში. ზოგჯერ ბერძნული ლექსი პროზად უთარგმნიათ. მაგრამ ძველად საქართველოში ადეკვატური თარგმანებიც არსებობდა, თუნდაც სახარების ტექსტის ადგილები. ეს სიზუსტე ეხმარებოდა მორწმუნეს "ღვთის სიტყვა" გაეგო. საერო ხასიათის ნაწარმოებების გაქართულება ხდებოდა. მტრული მაჰმადიანური სამყაროდან თარგმნილ ნაწარმოებებში თარგმნისას სიუჟეტი უცვლელი რჩებოდა, მაგრამ მაჰმადიანური რწმენა ქართულით იცვლებოდა. ქართველებს უფრო აინტერესებდათ სიყვარულითა და თავგადასავლით სავსე სიუჟეტი. უმდიდრესი პოეზიის მქონე საქართველოს სპარსული ლირიკა არ აინტერესებდა. ქართველი დღენიადაგ ომობდა და დახვეწილი ლირიკის სათარგმნელად არ ეცალა.

საერო ლიტერატურის პირველი თარგმნილი ძეგლია XI საუკუნის სპარსელი პოეტის ფახრ-უდინ გორგანელის რომანი "ვისრამიანი". საინტერესოა ამ სასიყვარულო რომანის ბედი. ხელნაწერი დაიკარგა და ტექსტის დასადგენად ქართული თარგმანი გამოიყენეს. ხედავთ, რა როლი ითამაშა თარგმანმა. ასეც ხდება ეს რომანი ძველი ქართულიდან თარგმნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის წევრებმა ნელი ამაშუკელმა და ნათელა ხუციშვილმა, გამოიცა გდრ-ში 1991 წ. (Reclam Veriag Zeiprig) ილია ჭავჭავაძის შეხედულებები თარგმანზე დღესაც აქტუალურია. მისი აზრით, თარგმანში სხვისი ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი უტყუარად და უცვლელად უნდა იყოს ნაჩვენები, რადგან მთარგმნელი მონაა იმისა, ვისაც თარგმნის.

თარგმნის ერთ-ერთი ზოგადი კანონზომიერებაა ის, რომ არ არსებობს სტანდარტული გადაწყვეტა, რომლის დროსაც არ ითვალისწინებენ სათარგმნი მასალის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მხატვრული ლიტერატურის თარგმნა ფრიად რთულია, ზოგადი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით თარგმნა არ ხდება გარკვეული შაბლონის მიხედვით, რასაც თარგმანისა და ორიგინალის მექანიკურ იგივეობამდე მივყავართ. სრულფასოვანი თარგმანი შესაძლებელია მივიღოთ მხოლოდ დედნის როგორც შინაარსისა და ფორმის ერთიანობის სწორი და ღრმა გაგების საფუძველზე და თუ გათვალისწინებული იქნება ცალკეული ელემენტების როლი მთელში.

ნელი ამაშუკელი

SOVLAB